საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 793/ი

05 09 2019წ.

ქ. თბილისი

უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 02 აგვისტოს №1117045 სამსახურებრივი ბარათისა და „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №149 ბრძანების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების წესი" ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების გამოქვეყნება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.eqe.ge.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი — თამარ მახარაშვილი

უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების წესის“ (შემდგომში - წესი) გათვალისწინება სავალდებულოა დიპლომის დანართის (შემდგომში - დანართი) როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი ფორმის შესავსებად. ამ წესის მე-2 მუხლში მოცემული ნუმერაცია შეესაბამება დიპლომის დანართის ნუმერაციას.
2. აუცილებელია დიპლომის დანართის ყველა პუნქტის შევსება. ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მიზეზი. მაგალითად, „შესაბამისი ინფორმაცია არ არსებობს.“ ასეთ შემთხვევაში ინგლისურენოვან ვარიანტში მიეთითება „N/A“;
3. კვალიფიკაციის სახელი და სტატუსი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელი და სტატუსი, ასევე მინიჭებული კვალიფიკაციის კლასიფიცირება ინგლისურენოვანი დიპლომის დანართში იწერება ორიგინალის ენის შესაბამისად და ლათინური ანბანით (ტრანსლიტერაციით);
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომის დანართი ბრძანებით დამტკიცებული სავალდებულო რეკვიზიტების გარდა, შესაძლებელია შეიცავდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლოგოს და იმ დიპლომის ნომერს, რომლის დანართსაც ის წარმოადგენს. თუმცა, საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეინარჩუნოს დანართის ყველა პარაგრაფი და დაიცვას თანამიმდევრობა;
5. დიპლომის დანართი არ ცვლის კვალიფიკაციის ორიგინალ დოკუმენტს. დიპლომის დანართის ბრძანებით დამტკიცებული ფორმა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომელთაც კვალიფიკაცია მიენიჭათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N149 ბრძანების შემდეგ.

მუხლი 2. განმარტებები დიპლომის დანართის შევსების შესახებ

1. ინფორმაცია კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ

დანართის ამ ნაწილის მიზანია, გადმოსცეს საჭირო ინფორმაცია კვალიფიკაციის მფლობელის ცალსახა იდენტიფიცირებისათვის.

1.1. გვარი

დანართის ქართულენოვან ფორმაში გვარი მიეთითება წარმოდგენილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შესაბამისად;
დიპლომის დანართის ინგლისურენოვან ფორმაში გვარი მიეთითბა პასპორტის შესაბამისად, ან სტუდენტის მიერ წერილობით წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

1.2. სახელ(ებ)ი

დანართის ქართულენოვან ფორმაში სახელ(ებ)ი მიეთითება წარმოდგენილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შესაბამისად;
დიპლომის დანართის ინგლისურენოვან ფორმაში სახელ(ებ)ი მიეთითება პასპორტის შესაბამისად, ან სტუდენტის მიერ წერილობით წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

1.3. **დაბადების დღე, თვე და წელი**

დანართის ამ ნაწილში მიეთითება წარმოდგენილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შესაბამისად.

1.4. **სტუდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დანართის ამ ნაწილში მიეთითება იმ პირის პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც სწავლობდა დიპლომის დანართში აღწერილ კონკრეტულ პროგრამაზე.

2. **ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ**

დანართის ამ ნაწილის მიზანია, გადმოსცეს საჭირო ინფორმაცია კვალიფიკაციისა და ამ კვალიფიკაციის გამცემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ცალსახა იდენტიფიცირებისათვის.

2.1. **კვალიფიკაციის დასახელება და (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე)**

დანართის ეს ნაწილი მოიცავს ორი სახის ინფორმაციას:

ა) კვალიფიკაციის დასახელებას, რომლის თანახმად, კვალიფიკაციის სრული დასახელება არის მაგალითად: მეცნიერების ბაკალავრი ბიოლოგიაში/ეკონომიკის ბაკალავრი;

ბ) მინიჭებულ წოდებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საქართველოს კანონმდებლობით კვალიფიკაციასთან ერთად წოდების მინიჭება არ ხდება.

დანართის ინგლისურენოვან ტექსტში აუცილებელია ტრანსლიტერაცია. კერძოდ, კვალიფიკაციის სახელწოდების თარგმანთან ერთად, უნდა მიეთითოს კვალიფიკაციის დასახელება ორიგინალის ენაზე ლათინური ასოებით ისე, როგორც ეს მიღებულია საქართველოში. მაგალითად: Bachelor of Science (BSc) in Biology/Mecnierebis bakalavri biologiashi.

თუ კვალიფიკაცია არის ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ერთობლივი ხარისხი, მაშინ ეს ფაქტი აღინიშნება ამ პუნქტში.

მაგალითად: ქართულ დანართში მიეთითება - მეცნიერებების მაგისტრი ბიოლოგიაში (ერთობლივი ხარისხი); ინგლისურენოვან დანართში აუცილებელია ტრანსლიტერაცია.

2.2. **ძირითადი სწავლის სფერო(ები) კვალიფიკაციის მისაღებად**

დანართის ამ ნაწილში მიეთითება მხოლოდ ის ძირითადი სწავლის სფერო(ები), რომელიც/რომლებიც განსაზღვრავს მთავარ საგნებს კვალიფიკაციის მისაღებად. მაგალითად: მიკრობიოლოგია, ბიოლოგია, მათემატიკა, ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ურთიერთობები, გარემოს ინჟინერია და ა.შ.

2.3. **კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე)**

მიეთითება კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება. ინგლისურენოვან დანართში აუცილებელია ტრანსლიტერაცია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების ინგლისურ თარგმანთან ერთად, ლათინური ასოებით ჩაწერეთ ქართული დასახელება. ერთობლივი ხარისხის შემთხვევაში, როდესაც კვალიფიკაცია გაცემულია ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, მიეთითება ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

დიპლომის დანართის მიზნებისათვის დაწესებულების სტატუსი, უპირველეს ყოვლისა, ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების წარმატებით გავლას, რაც მკაფიოდ უნდა აღინიშნოს.

ასევე, მიეთითება გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს EQAR-ისა და ENQA-ს წევრობა არსებობის შემთხვევაში.
ქართულ და ინგლისურენოვან დანართებში ინფორმაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,[უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება] არის უნივერსიტეტი, რომელმაც 2019 წელს გაიარა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი (ავტორიზაცია). აღნიშნული ცენტრი 2019 წელიდან არის ENQA-ს წევრი." [Name of the institution] is a university which has undergone external quality assurance (authorization) in 2019 by NCEQE of Georgia, NCEQE is a member of ENQA."

2.4. იმ დაწესებულების (თუ განსხვავდება 2.3 პუნქტისგან) დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე), რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი
დანართის ეს ნაწილი ეხება იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას რომელიც ახორციელებდა სწავლებას.
საქართველოში კვალიფიკაციის გამცემი და სასწავლო პროცესის განმახორციელებელი არის ერთი და იგივე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ამდენად, ქართულად მიუთითეთ: ,,იხ. პუნქტი 2.3"; ინგლისურად კი ,,see 2.3 above".
ზოგიერთ ქვეყანაში სწავლების განმახორციელებელი დაწესებულება განსხვავდება კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულებისგან (იხ. 2.3 პუნქტი). იმ შემთხვევაში, თუ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებას აძლევს მეორე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას რომ განახორციელოს მისი პროგრამა ფრენშაიზინგის ან სხვა ურთიერთობის საფუძველზე.

2.5. სწავლის/გამოცდის ენა (ენები)
დანართის ამ ნაწილში მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და გამოცდების ენა.

3. ინფორმაცია კვალიფიკაციის დონისა და ხანგრძლივობის შესახებ:
დიპლომის დანართის ამ ნაწილის მიზანია, გადმოსცეს საჭირო ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის მკაფიოდ განსაზღვრისათვის. პროგრამის ხანგრძლივობა აღიწერება წლებით ან/და კრედიტებით.

3.1. კვალიფიკაციის დონე
დანართის ამ ნაწილში მიეთითება კვალიფიკაციის დონე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" (შემდგომში - ჩარჩო) მიხედვით (შესაბამისობაში უნდა იყოს დიპლომის დანართის მერვე ნაწილში მოცემულ ინფორმაციასთან).
მაგალითად: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6, Level 6 of the NQF.
ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მიეთითება ,,უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს" (QF-EHEA) საფეხური ან ,,მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს" (EQF-LLL) დონეც.

3.2. პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა კრედიტების ან/და წლების მიხედვით
დანართის ამ ნაწილში მიეთითება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კრედიტებით და კრედიტების სისტემა.
მაგალითად: ბაკალავრიატის პროგრამისათვის მიუთითეთ - 240 ECTS-ის კრედიტი / 240 ECTS Credits და ა.შ. კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3. დაშვების წინაპირობა

დანართის ამ ნაწილში მიეთითება ის კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, რომელიც/რომლებიც საჭიროა დიპლომის დანართში აღნიშნულ პროგრამაზე ფიზიკური პირის დასაშვებად, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს დიპლომის დანართის მერვე ნაწილში მოცემულ ინფორმაციასთან.
მაგალითად, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისათვის მიუთითეთ:
სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი /State document of upper secondary education or equivalent

4. ინფორმაცია პროგრამასა და მიღწეულ შედეგებზე
დანართის ამ ნაწილის მიზანია, დეტალურად აღწეროს, თუ რომელ სფეროში მიიღო კვალიფიკაცია კვალიფიკაციის მფლობელმა მოცემული პროგრამით და მისი მიღწევის დონე.

4.1. სწავლის ფორმა
სწავლის ფორმა აღნიშნავს, თუ რა სახით განხორციელდა პროგრამა.
მაგალითად: სრული დატვირთვით სწავლა - Full time; არასრული დატვირთვისთ სწავლა - part-time.

4.2. პროგრამის სწავლის შედეგები
დანართის ამ ნაწილში მიეთითება კვალიფიკაციის (შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის) სწავლის შედეგები (ცოდნა-გაცნობიერება, უნარები ან/და ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა). სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს აწმყო დროში.
ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ არის საფუძველი კვალიფიკაციის აღიარებისათვის.

4.3. პროგრამის დეტალები, მოპოვებული ინდივიდუალური კრედიტები და მიღებული ნიშნები/შეფასებები
დანართის ამ ნაწილში მიეთითება კვალიფიკაციის მისაღებად გავლილი ყველა სასწავლო კურსი/მოდული შესაბამისი კრედიტებითა და მიღებული ნიშნებით/შეფასებებით. შესაძლებელია დაერთოს ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი).
თუ კვალიფიკაცია არის ერთობლივი ხარისხი, მიეთითება კვალიფიკაციის რომელი ნაწილი (სასწავლო კუსრსი/მოდული) რომელ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იქნა შესწავლილი. ამის მსგავსად, თუ პროგრამა მოიცავს სავალდებულო/აღიარებულ სასწავლო აქტივობას, რომელიც განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ, როგორიცაა საზღვარგარეთ მობილობა, სამუშაო პრაქტიკა, მოხალისედ მუშაობა და ა.შ. მიეთითება კვალიფიკაციის რომელი კომპონენტი რომელ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/კომპანიაში იქნა წარმატებით დასრულებული და შემდგომ სათანადოდ აღიარებული. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახით: ეს კონკრეტული აქტივობების ნიშნების ფურცელში მიეთითება პირდაპირ ორიგინალი დასახელებებით, ან უნდა განხორციელდეს მათი გამჭვირვალე გზით დაკავშირება (აღიარება) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აღიარებულ აქტივობებთან. თუ კვალიფიკაცია მოიცავს დისერტაციას ან თეზისს, მიეთითება მისი დასახელება. თუ დანართის ეს ნაწილი არის ძალიან ვრცელი, ის შეიძლება ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ გვერდად. ამ შემთხვევაში 4.3 პუნქტთან მიეთითება შემდეგი: პროგრამის დეტალებთან დაკავშირებით იხილეთ მომდევნო გვერდი/Please see next page for programme details:

4.4. შეფასებების სისტემა და თუ ასეთი შესაძლებელია, შეფასებების განაწილების სქემა
დანართის ამ ნაწილში მიეთითება ინფორმაცია კვალიფიკაციასთან დაკავშირებული შეფასების სისტემისა და გამსვლელი ქულების შესახებ.

ერთობლივი ხარისხების შემთხვევაში, აღნიშნულ პუნქტში უნდა მიეთითოს ინფორმაცია შეფასების ყველა სქემის შესახებ, რომლებიც ეხება მოცემულ კვალიფიკაციას. შესაძლებლობის შემთხვევაში, მიეთითება რეიტინგების ცხრილიც.

4.5. კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია

დანართის ამ ნაწილში არსებობის შემთხვევაში, მიეთითება კვალიფიკაციის კლასიფიკაცია. დანართის ინგლისურენოვან ფორმაში აუცილებელია ტრანსლიტერაცია:
მაგალითად: არსებობის შემთხვევაში, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისათვის:
ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარჩინებით - Bachelors Degree with Honours /Bakalavris khariskhi tsarchinebit; ან GPA.
დოქტორანტურის შემთხვევაში - Cum Laude.

5. ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ

5.1. დაშვება სწავლის შემდგომ საფეხურზე

დანართის ამ ნაწილში მიეთითება, იძლევა თუ არა კვალიფიკაცია (წარმოშობის ქვეყანაში) შემდგომ საფეხურზე/დონეზე დაშვების უფლებას.
მაგალითად: მაგისტრის დიპლომის დანართში ჩაიწერება:
უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.
Access to Doctoral studies.

დოქტორის დიპლომის დანართში ჩაიწერება:

დოქტორი არის უმაღლესი განათლების მესამე, ბოლო საფეხურის კვალიფიკაცია (ხარისხი). PhD/Doctor - is a terminal degree.

5.2. დაშვება რეგულირებად პროფესიაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ეროვნულ კანონმდებლობასა ან მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნებზე დაყრდნობით, მიეთითება კვალიფიკაციის მფლობელის მიერ საქმიანობის განხორციელების ან პროფესიული წოდების გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მიეთითება პროფესიულ საქმიანობაზე დაშვების იმ პირობაზე (არსებობის შემთხვევაში), რის უფლებასაც იძლევა კონკრეტული კვალიფიკაცია.
მაგალითად: კვალიფიკაციის მფლობელს უფლება აქვს დასაქმდეს კონკრეტული რეგულირებადი პროფესიით ან აქვს დაშვება შესაბამისი მარეგულირებლის პროფესიულ სასერტიფიკაციო გამოცდაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია

დანართის ამ ნაწილის მიზანია, გადმოსცეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არაა მოცემული წინამდებარე დოკუმენტის სხვა ნაწილებში, მაგრამ რელევანტურია კვალიფიკაციის ხასიათის/პროფილის, დონისა და გამოყენების შეფასების მიზნებისათვის.

6.1. დამატებითი ინფორმაცია

დანართის ამ ნაწილში მიეთითება პროგრამის ფარგლებს გარეთ მიღებული ნებისმიერი ინდივიდუალური სასწავლო მიღწევა ან/და დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არაა ზემოთ მოცემული, მაგრამ დადასტურებულია/შემოწმებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ და რელევანტურია კვალიფიკაციის ხასიათის/პროფილის, დონისა და გამოყენების შეფასების მიზნებისათვის.
მაგალითად: საზღვარგარეთ მობილობის პერიოდი, სამუშაო პრაქტიკა, მოხალისედ მუშაობა და ა.შ. რაზეც სტუდენტს არ მიუღია კრედიტები ან აღიარება, მაგრამ ამის მიუხედავად ამ გამოცდილებას თავისი წვლილი შეაქვს პირის სწავლის შედეგებში.

6.2 დამატებითი ინფორმაციის წყაროები

დანართის ამ ნაწილში მიეთითება ნებისმიერი სასარგებლო ინფორმაცია და წყარო, რომელშიც შეიძლება კვალიფიკაციის შესახებ მეტი დეტალების მოძიება. მაგალითად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ვებგვერდი. ასევე, ეროვნული საინფორმაციო ცენტრის (enic) ვებგვერდი.

7. დანართის დამოწმება

დანართის ამ ნაწილის მიზანია, დაამოწმოს ის ფაქტი, რომ დიპლომის დანართი ოფიციალურად არის გაცემული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

7.1 თარიღი

დანართის ამ ნაწილში მიეთითება დიპლომის დანართის გაცემის თარიღი. სავალდებულო არ არის, რომ ის ემთხვეოდეს კვალიფიკაციის მინიჭების თარიღს.

7.2 ხელმოწერა

დანართის გამცემი ოფიციალური პირის/პირების გვარი, სახელი და ხელმოწერა. დანართის ამ ნაწილში მიეთითება უნივერსიტეტის რექტორი (თუ დანართის ფორმაში მიეთითება დეკანი, მაშინ მიეთითება იგივე მონაცემები დეკანთან მიმართებითაც).

7.3 თანამდებობა

დანართის ამ ნაწილში მიეთითება ხელმომწერი პირის/პირების ოფიციალური თანამდებობა.

7.4 ოფიციალური ბეჭედი

დანართის ამ ნაწილში მიეთითება დანართის სინამდვილის დამმოწმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალური ბეჭედი.

8. ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ

დანართის ამ ნაწილის მიზანია, გადმოსცეს ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ხდება კვალიფიკაციის მინიჭება. უმაღლესი განათლების შესახებ სისტემის აღწერა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ზოგადად დაშვების პირობები/მოთხოვნები; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპები და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა; უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) წევრი ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო თავსებადი უნდა იყოს ამ სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (QF-EHEA) და უნდა იმოწმებდეს ამ ჩარჩოს.

აღნიშნული ინფორმაციის მომზადება/განახლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ლისაბონის კონვენციით გათვალისწინებული ეროვნული საინფორმაციო ცენტრის (ENIC) საქმიანობის განმახორციელებელთან ერთად. დიპლომის დანართის ამ ნაწილში უნდა მიეთითოს იმ სასწავლო წელს არსებული სისტემის აღწერა, როცა მიენიჭა კვალიფიკაცია.